ტფილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა

№ 184

პარასკევი, 27 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 184

პარასკევი, 27 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## პირველ სექტემბრიდგან გაიხსნება
## „ტფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის
## მიხ. გედევანიშვილისა"

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21 („ივერიის" რედაქციის გვერდით). სამკურნალოს შემდეგი მკურნალები ჰყავს მიწვეული: ადამიანი, ბეგთაბეგოვი, ვაჩაძე, დ. გედევანიშვილი, გმელიშვილი, მალალაშვილი, მახვილაძე, მულინი, სობესციანსკი, ცარსაიძე, ი. თუმანიშვილი, უმიკოვი, ფიფინაძე, ჩუდნოვსკი, მაცრილოვი და დ. ერისთავი.

(3—6.—1) სამკურნალოს დირექტორი **მიხეილ გედევანიშვილი**

## „შრომის"

ხელოსანთა ამხანაგობის საზოგადო კრება რადგან 22 აგვისტოს არ შესდგა, უკანასკნელად დანიშნულია კვირას, 29 აგვისტოს, დილის 10 საათზედ.

საგანი კრებისა:

1) 1/2 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

3) სახელოსნოს გაფართოვებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ მოლაპარაკება. (3—134—1)

სასწავლებელი და პანსიონი
## გ. ლ. კუზანოვისა

ბებუთოვის ქუჩა (უწინდელი სადავოი) სოლოლაკში, სახლი ექიმის ქოჩორიანცისა № 50.

ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, კადეტთა კორპუსებსა და სხვაგან შესაყვანად.

მოსწავლეების მიღება პანსიონში მოხდება 24 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (7—139—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

ებრძათ: ტიტულიარნი სოვეტნიკობა კოლეჟსკი სეკრეტრებს: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების ზედამხედველთ—ხაშურისას წივწივაძეს და ბათუმისას იორაიშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა კოლეჟსკი რეგისტრატორს ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს შევარნაძეს, კოლეჟსკი რეგისტრატორობა ტფილისის ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელეს შანშიაშვილს.

## ახალი ამბავი

*** „კავკ."-ს კავკავიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ გუშინ, 26 აგვისტოს, დილით ბუხარის ემირი მირ-სეიდ-მირ აბდულ-ახად-ხანი კავკავიდგან ტფილისში გამოემგზავრებოდა კავკავის გზით.

*** როგორც იმავე გაზეთს ატყობინებენ, კავკასიის მთავარ-მართებელი გენ. ადიუტ. თავ. გ. ს. გოლიცინი 28 აგვისტოს მოვა ტფილისში.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის პოლიციმეისტრის თანამდ. აღმასრულებელს მოახდინოს უსასტიკესი გამოძიება მიხეილის საავადმყოფოს მკურნალის თუმანოვის საქციელის გამო, რომელმაც უარი სთქვა და საავადმყოფოში სასიკვდილოდ დაჭრილი ნიკ. მირაქოვი არ მიიღო.

*** „ცნ. ფ."-ს ატყობინებენ, რომ ცნობილ არტისტთა მ. საფაროვისა და ვ. აბაშიძის ქალი ანასტასია აბაშიძე დამდეგს სეზონში ქართულ სცენაზედ აპირებს გამოსვლას. ეს ქალი აგერ წელიწად-ნახევარია პარიჟსა და ვენაში იმყოფებოდა, სადაც კონსერვატორიაში თურმე სწავლობდა.

*** 25 აგვისტოდგან ტფილისის მიხეილის სატეხნიკო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყო.

*** 25 აგვისტოს ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მთავარ-მართებელმა ნება დართო ქალაქს შეისყიდოს ცხენის რკინის გზა უსახელო საზოგადოებისაგან.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის საგუბერნიო ინჟინერს გაშინჯოს ქართველიშვილის სახლი, რომელიც ქალაქის წყლის მილის გასკდომისაგან დაზიანდა, და გამოარკვიოს ნამდვილი მიზეზი ამ სახლის დაზიანებისა, და თუ ეს დაზიანება მხოლოდ წყლის მილისაგან არის გამოწვეული, გამოიკვლიოს, ქალაქის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა უყურადღებობის შედეგია თუ არა ეს შემთხვევა.

*** ვ. დ. ყორღანოვს ნება-რთვა მიუღია გამოსცეს რუსულს ენაზედ ტფილისში, შეკიჩევის რედაქტორობით, ყოველ თვიური ჟურნალი „კავკასიის მოამბე".

*** სამხედრო ბეგარის მოსახდელად ყმაწვილ კაცთა გაწვევა დაიწყება 15 ოქტომბრიდგან და გასტანს 15 ნოემბრამდე. 15 ოქტომბერს საბჭოს დარბაზში, დილის 8 საათიდგან, მოხდება კენჭის ყრა, ხოლო შემდეგს დღეებში კი მკურნალი შეამოწმებს ახალ ჯარის კაცებს. წელს სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაიწვევა 196 ყმაწვილი კაცი.

*** 24 აგვისტოდგან ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატების მმართველნი შეუდგნენ ტფილისში საერო დარაჯთა შესახებ საშუალებათა გამოძებნას.

*** საგუბერნიო მთავრობას განკარგულება მოუხდენია იმ საგნის გამოსარკვევად, არის თუ არა გავრცელებული საქონლის ავადმყოფობა ფასანაურსა და მის მახლობელ სოფლებში. როგორც ფასანაურიდგან იუწყებიან, იქ ამ განკარგულებას სიხარულით მიჰგებებიან, რადგან ამ ბოლო დროს იქ გახშირებულია თურმე სხვილ-ფეხა საქონ-

## ფელეტონი

### ეს დღეც მეწერა!?

ამბავი

(დასასრული *)

მზე ჩაესვენა. მუშა ხალხმა საქმეს თავი დაანება და თავ-თავისს ბინაზედ გასწია. ნახირიც მორეკეს და ყველამ თავისს ბოსელ-ბაკში უკრა საქონელს თავი. ყველა მილაგდა, მიწყნარდა, სოსიკამაც, მობინდდა თუ არა, სჭამა ვახშამი და მიწვა დასაძინებლად.

რამდენსამე ხნის უკან წუხანდელ ნაშფოთ-ნაბორგვს ნენესაც ტკბილად ჩაეძინა. მათ შორის თალიკომაც ხვრინვა ამოუშვა ისე კი, რომ იმის თვალებს ძილი შორს, ძალიან შორს უფრთხოდა.

აი გადავიდა შუაღამეც. თალიკომ კისერი წამოიგძელა, სულ განაბვით წაუგდო ყური ნელად მქშინავ დედას და რომ დარწმუნდა, გულის ძილშიაო, გველსავით გამოხოხდა ქვეშ-საგებიდგან, გადიცვა კაბის ქვედა ტანი, შალი წამოისხა და სიფრთხილით მივიდა კართან. ისეთის ხვლოვნებით გაალო კარები, რომ ჭიამაც ვერ გაიგო, მხოლოდ როდესაც თალიკომ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, ძაღლმა თავი წამოჰყო და თვალი გაახილა, მაგრამ ისევ მალე დასდო თავი და საძილედ მოიბღუნძა. მიუახლოვდა ყმაწვილი ქალი ბაღჩასაც და თან ჰფიქრობდა: თუ ამაღამაც მომატყუა, თავის დღეში... ჯერ არ დაესრულებინა ეს სიტყვა, რომ გია, თითქოს მიწიდგან ამოძვრაო, ერთის გადმოხტომით ბაღჩის ღობიდგან თალიკოს წინ გაჩნდა და თავდავიწყებით ჩაიკრა გულში; თალიკოც მიჰყვა ნებას და ნახევრად მოღუშულ-გადახრილი ყელზედ ეკონებოდა თავისს სატრფოს, რომელიც ვნებათა ღელვას შეეპყრო და სიამოვნებით კანკალებდა. ამ დროს ხარის ჩლიქის ოდენა მილეულმა მთვარემაც დაალწია თავი ღრუბლის ნაგლეჯს და შეყვარებულთ მკრთალი შუქი მიაყენა. ეხლა-კი საჭიროდ დაინახეს, რომ ბაღჩაში გადასულიყვნენ, რადგან მთვარის სინათლეს უფრთხოდნენ...

—ჩემო სიცოცხლევ! ჩასჩურჩულებდა გია, ერთ ბუჩქის ძირას მიმჯდარი, გულში ჩაკრულ თალიკოს: ვგონებ დროა, რომ ჩვენს მომავალ ბედნიერებაზედაც ვიფიქროთ. ერთი ეს მითხარ, როდემდინ უნდა ვიყვნეთ ასე? როდემდინ უნდა ვეწამოთ ასე ქურდულად, რო მცირედი ფოთოლის გაშრიალებაც-კი გულსა ჰხეთქავს და გაქვეყნიერებისა გვეშინიან? დედა შენს რომ გამოუცხადოთ ჩვენი კავშირი, ემჯობინება. იმედია, ნენე ჩვენის შეუღლების წინაამდეგი არ გახდება და სოსიკასაც დაითანხმებს. აგერ გახსნილებამაც მოაწია და ნუღარ დავახანებთ, გადავიწეროთ ჯვარი და დავბინავდეთ, გული გულის ალაგას დავიდოთ.

— ბარემ, ჩემო იმედო! მაგრამ მოხერხებულ შემთხვევას ვეძებ, დედას ავადმყოფობამ უფრო უმატა, გული ისედაც გაწყალებული აქვს და ჩვენზედაც რო უთხრა რამე, იქნება იმან ცუდად იმოქმედოს და უფრო შეშფოთდეს.

— რა დაემართა მაგ საცოდავს, თან-და თან უკან მიდის და გამოკეთება-კი არსადა სჩანს; წარმოსთქვა მწუხარებით გიამ და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— ეგ საცოდავი ჯანს ებრძოდა, მუშაობასა და ჯაფას შეალია ჯანლონე, რამდენჯერ შიშვილის ფეხით მამაჩემს გვერდში ამოსდგომია და ვენახი ურწყავს. გაცივდა და ავადმყოფობას თავი ველარ დააღწია. ყველა იძახის, ჰლექიაო, და მორჩენის იმედი აღარავისა აქვს, უპასუხა ნაღვლიანად თალიკომ და გიას ნუკრისავით გვერდში ამოეკრა.

— ეჰ, ჩემო ბედნიერებავ! ყველა ღვთის ნებაა, იქნება გამოკეთდეს! ანუგეშა გიამ და დაეკონა ნორჩსა და ფაფუკ ტუჩებზედ.

კიდევ კარგა ხანს ილაპარაკეს თავიაანთ მომავალზედ და ასწონ-დასწონეს, როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგისთვინ.

ღრუბლები გადაიწმინდა და ცისკარმა კაშკაში დაიწყო, თალიკოს დაშორების დრომაც მოაღწია და გამოეხსნა გიას მჭიდროდ მოხვეულს მკლავებიდგან. გიაც ფეხზედ წამოდგა და ერთი კიდევ ხარბად დაეწაფა თალიკოს ყელს, ტუჩებს, თვალებს....

— ხვალ ღამ უეჭველად გელი, სთქვა თალიკომ და გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად.

— უსიკვდილოდ აქა ვარ, უპასუხა გიამ და გადახვეულნი ტრფიალნი განშორდნენ ერთმანეთს.

— მოაწია მეორე ღამემაც და ამასთან შეყვარებულთა შეერთების დრომ. გია სიფრთხილით გადაიპარა სოსიკოს ეზოში და ამოეფარა საქათმეს ახლო პირქვე დამხობილ პატივით გალესილ ვეებერთელა გოდორს, სადაც მოუთმენლად დაუწყო მოლოდინი თალიკოს გამოსვლას, მაგრამ თალიკოს კვლავინდებურად საქმე ხერხად ვერ მოსდიოდა, რადგან საბრალო ნენე მოუსვენრად ჰბორგავდა ქვეშ საგებში და მწარე კვნესით სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს. სოსიკასაც ძალი გაფრთხობოდა, ლოგინიდგან წამომდგარიყო და გარეთ აპირებდა გახედვას, რომ ვარსკვლავებზედ შეეტყო, განთიადი ახლო იყო თუ არა?

როდესაც სოსიკამ გაალო კარი და გაიხედა, ეზოში რაღაცას შავს მოჰკრა თვალი საქათმესთან; სოსიკამ ერთი მაგრა წამოახველა და ის შავიც უცებ გოდორს ამოეფარა.

— აა! აქ რაღაც საქმეა; ამ დროს მოყვარე არ მეწვეოდა, უთუოდ ქურდიაო! იფიქრა სოსიკამ, შებრუნდა შინ, წამოავლო ხელი იქვე კარებს უკან მიყუდებულ შვინდის კომბალს და გასწია კარისაკენ; გიამ იგრძნო, რომ ის ხველა თალიკოს ხველას არ ჰგავდა და შიშის ზარმა აიტანა. ისე დაიბნა, რომ გაქცევაც ვერ მოახერხა და გაქვავებულსავით ერთს ადგილას იდგა. იგი უაზროდ გაიყურებოდა კარებისაკენ და მხოლოდ მაშინ მო-

*) იხ. „ივერია" № 184.

ლის ავადმყოფობა, რომელიც ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

*** ქალაქის გამგეობამ გააწყრა სატრაქტირო გარდასახადი დუქნის პატრონებზედ. ამ გარდასახადის ნუსხა, გამგეობის გარდაწყვეტილებით, გამოცხადებულ იქმნება ადგილობრივს გაზეთებში.

*** ს. ამაღლება, (ქუთაისის მაზრა). ეს ორი წელიწადია, რაც აქ დაარსდა მეორე კლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც მოსწავლეთა რიცხვი ბევრია. ჯერ-ჯერობით სკოლას საკუთარი შენობა არ აქვს და ხან ერთს ნაქირავებს სახლშია და ხან მეორეში. უწმიდესი სინოდისაგან დიდი ხანია რაც ფულია გადაცემული შენობისათვის და ნეტავი რას აყოვნებენ შენობის აგებას?

*** ქალაქის გამგეობის განკარგულებით, 27 აგვისტოდგან მუშაობა გამგეობის კანცელარიასა და საბჭოში გასტანს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, ხოლო გამგეობის კასსაში—9-დგან 2 საათამდე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**მრწო,** (თიანეთის მაზრა), 24 აგვისტო. როგორც წინადაც გწერდით, ს. ნადოკრაში და სიონთგორაზე სისხა (მუცელა) მძვინვარებს. დღემდის ამ სენისაგან 21 გარდაიცვალა. ადმინისტრაცია მხნედ ჰმოქმედებს, რომ სენი ერწოს სხვა სოფლებში არ გადავიდეს და სცდილობს იქაც მოსპოს, სადაც გაცხოველდა; მკვიდრთ სოფლები დაასუფთავებინა, უწმინდურება გაატანინა და წყაროები ფიცრებით შემოაზღუდვინა, რომ სასმელ წყალს ოთხ-ფეხი საქონელი ვერ მიუდგეს; აქამდის საქონელი და ხალხი ერთის ადგილიდგან ჰსვამდნენ წყალს; ვიდრე სენი გადავარდებოდეს, მუდმივ სადხოკრებლად [?] ფერშალი გამოგზავნა, რომელიც თავგამოდებით უვლის ავადმყოფებს.

ჩვენის მაზრის უფროსად დანიშნეს თავადი ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, კაცი მხნე, ჭკვიანი და ღონით სავსე. დიდი იმედი გვაქვს, რომ რაც სხვამ ვერ მოახერხა გაკეთება ჩვენში, ბ-ნი ჩოლოყაშვილი ადვილად შესძლებს, როგორც კაცი გამოცდილი, საქმის მცოდნე და ხალხის მოყვარული. ეს უკანასკნელი თვისება უფრო სასწრაფოდ საჭიროა, ვისაც საზოგადო საქმის გაკეთება ჰსურს. ბ-ნ ჩოლოყაშვილის მოსვლისთანავე დაედვა საფუძველი ერთს კეთილ დაწესებულებას ჩვენს კუთხეში. დიახ, სრული იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში სამკურნალო სახლი გვექნება ერწოში.

16 აგვისტოს შეკრებილნი იყვნენ საბადურაში (ერწოს შუა ადგილას) თიანეთის მაზრის უფროსი თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, მისი თანაშემწე თ. ი. დ. აბხაზი, მაზრის მკურნალი დ. ა. ჯავახიშვილი, ბოქაული თ. გ. გ. ბარათაშვილი, მომავლე თ. გ. დ. შავშაძე, ადგილობრივი სამღვდელოება, ხუთის სოფ. საზოგადოების მამასახლისნი და ორმოც-და ათამდე გლეხნი, რომელთაც სურდათ ჰქონდათ სამკურნალო სახლის დაარსების შესახებ. მაზრის უფროსმა სთქვა: საჭიროა ერწოს, ამ მშვენიერ კუთხეს თიანეთის მაზრისას, საკუთარი სამკურნალო სახლი ჰქონდესო. აუხსნა მდაბიურად, ხალხის გასაგებ ენაზედ სამკურნალო სახლის სარგებლობა, სთხოვა იქ დამწრეთ ხალხში ხიდადგი მოემზადებინათ და შემდეგ დასძინა, რომ სრულიად არ იქნება მძიმე ხუთის საზოგადოებისათვის ერთის სამკურნალო სახლის შენახვა, რადგანაც თითო მკომლზე მანეთ ნახევარზე მეტი არ შეჰხვდებაო. ამავე საგანზედ თ. ი. დ. აფხაზმა და მკურნალმა დ. ა. ჯავახიშვილმა წარმოსთქვეს მშვენიერი სიტყვები, დასაბუთებული ცოცხალ მაგალითებით, რამაც დიდად იმოქმედა ხალხზედ. სამღვდელოებამ ერთის თავისის წარმომადგენლის პირით წარმოსთქვა, რომ იგი დიდის თანაგრძნობით ეგებება ამ კეთილშობილურ აზრს და თავის მხრივ კისრულობს ყოველ წლივ თითოეულმა მღვდელმა გამოიღოს სამკურნალო სახლის სასარგებლოდ იმდენი ფული, რამდენიც სამ მკომლურ გლეხს შეჰხვდება, ხოლო დიაკვნები ეკისრებიან გლეხებთან თანაბრად ხარჯის გაწევას. თ. გ. გ. ბარათაშვილმა ცხრა წლობით მუქთად (უფასოდ) დაუთმო სამკურნალო სახლის მოსათავსებლად თავისი სახლი მიშენებულითურთ სოფ. თარნზედ [?] (ერწოში). შემდეგ, მაზრის უფროსმა მიჰმართა გლეხებს: წადით, მოილაპარაკეთ ერთმანეთში და პასუხი ეხლავე შეგვატყობინეთო. მოლაპარაკებიდანვე ხალხის სახეზედ ეტყობოდა, რასაც იტყოდა. სულ მცირე თათბირის შემდეგ გლეხებმა სურვილი განაცხადეს ფული გამოიღონ სამკურნალო სახლის დასაარსებლად.

დიდად საკვირველია, რომ ერთხმივ მიღებულ იქმნა წინადადება მაზრის უფროსისა. ყველამ კარგად იცის, რა ეჭვის თვალით უყურებს ჩვენი გლეხი კაცი ყოველს ახალ საქმეს, ზოგიერთებს გაუკვირდა, რომ მოწინააღმდეგენი არ აღმოჩნდნენ. რა იყო ამის მიზეზი? თურმე ნასკვი ადვილად იხსნება. თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი ამ ოცის წლის წინად ჯერ ბოქაულად ყოფილა, მერე მაზრის უფროსად თიანეთის მაზრაში; მკვიდრთაგან დიდი სიყვარული და ნდობა დაუმსახურებია, რითაც აიხსნება, რომ მისი რჩევა და წინადადება ერთხმივ სიამოვნებით მიღებულ იქმნა. დიახ, ჩვენ ხალხს „ალდო“ აქვს ადებული და ადვილად არ მოტყუვდება ხოლმე. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მაზრის უფროსი ეგე მშვენიერად დაწყებულ საქმეს მალე სისრულეში მოიყვანს და სულ მოკლე დროში ერწოში სამკურნალო სახლი გვექნება.

ა. გ.

—

**სოფ. საყულია,** (ქუთაისის მაზრა). წელს აქ ძლიერი გვალვა იყო. ისე გავიდა სამი თვე, რომ ციდგან ნამი არ ჩამოვარდნილა. ჭირნახული გაუკაფთდა, გახმა; ღელეები დაშრა და მაწდვრად ბალახი მოისპო. შინაური ცხოველები და ფრინველები უწყლობის გამო იხოცებოდნენ. ყველანი ამ გვალვას ღვთის რისხვად სთვლიდნენ. ბუნება თავისას არ იშლიდა და თანდათან ჰმატულობდა სიცხე. რომ კიდევ გაგრძელებულიყო გვალვა, ხალხი უსათუოდ დაიმშეოდა, მაგრამ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა და 6 მარიამობისთვეს მოგვივლინა წვიმა. თუმცა ნაადრევ ყანებს არა ეშველა რა, მაგრამ ნაგვიანევი მაინც იხეირებს. სიმინდფქვილის ფასმა ეხლავე აიწია; შარშანდელი სამ-ნაირი ფასიც აქვს, ვერ ჰყიდის, რადგან ახალს ბევრს არ მოელის. ზურის მოსავალს არა უშავდა, მაგრამ მარტო ამით რა მოთხოვნილებას უნდა გავუძლოთ?!. ვენახებიც სულ გადახმა გვალვამ; გაზაფხულზედ კარგად ეხსა, მაგრამ ეხლა შეხედვა შეეზარება კაცს, ისე მაჭკნა მარცვლები მტევნებს; ვინც უწამლავ ვენახებს, იმას კიდევ არა უშავს. შესანიშნავია, რომ ამ სიცხე-გვალვაში არავითარი ავადმყოფობა არა ყოფილა; წინად-კი ზაფხულობით სხვა ავადმყოფობა თუ არა, ციებ ცხელება მაინც ხშირი იყო. მცხოვრებთა რიცხვი საყულიაში არის 300 კომლი; ამათ შორის ორასი გლეხია და ასი სასულიერო წოდებისა და თავად-აზნაურნი.

ამ ერთის წლის განმავლობაში საყულიაში სამიკიტნოები მეტად გამრავლდა, რასაც ცუდი შედეგი ბევრი მოჰყვა და, რაღა თქმა უნდა, კიდევაც ბევრი მოჰყვება. გაიყუნთებიან დილით სამიკიტნოში, მერე დაერევიან ხანჯალ-ხმლებით ერთმანეთს და ხშირად სისხლ კედილამდეც [?] არა ჰზოგავენ ხოლმე. აი, მაგალითად, 24 მკათათვეს აზ. ზარმენ ნიჟარაძემ სამ ადგილას დასჭრა აქაური სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ანდრია სვანაძე. ამ საქმის შესახებ გამოძიება მოხდა ადგილობრივად 17 აგვისტოს. ასეთისა და უარესის უბედურების თავიდგან ასაცილებლად საჭიროა, სხვათა შორის, სამიკიტნოების შემცირება და ადგილობრივის მოხელეების მხრით ყურადღების მიქცევა, რომ ზოგიერთმა თავდადებულმა მოქეიფემ თავისი ქეიფი სხვისა მოკვლით არ დააგვირგვინოს.

მ. ჯი—ლი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Торгово-пром. Газета“-ში ვრცელი წერილია დაბეჭდილი კახეთის მეღვინეობის შესახებ. ავტორი მეტად უნუგეშო თვალით უყურებს კახეთის მეღვინეობას და ამბობს, რომ მევენახობა და მეღვინეობა კახეთში უკან-უკან მიდის, მაშინ, როდესაც რუსეთის სხვა იმ ადგილებში, სადაც მევენახობას მისდევენ, ამ დარგს მეურნეობისას ყოველ წლიწადს წარმატება და წინ-მსვლელობა ეტყობაო. მრავალ მიზეზთა შორის ამ დაქვეითების ერთ უმთავრეს მიზეზად ავტორი ასახელებს იმას, რომ ხალხს კრედიტის შეძენის სახსარი არსადა აქვს.

„მართალია, — განაგრძობს ავტორი, — 1898 წელს „ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებამ“ ყურადღება მიაქცია ხალხის გაჭირვებას და დაიწყო სესხის გაცემა ღვინის გირაოზედ, მაგრამ ამითი მცხოვრებთ მაინც ბევრი არაფერი ეშველათ, რადგანაც ჯერ ერთი — ის ხარჯი უნდა გაიღონ, რაც საზოგადოების აგენტის კახეთში წასვლასა და მოსვლას დასჭირდება, და მეორე კიდევ — თვით ღვინის დაგირავება არც ადვილი და მოსახერხებელი არ არის. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაარსდეს კახეთში საკრედიტო საზოგადოებათა განყოფილებანი, საიდგანაც ხალხს დაუბრკოლებლივ შეეძლოს სესხის გატანა“.

---

ვიდა გონზედ, როდესაც კომბალ მომარჯვებული სოსიკა კარგა დაუახლოვდა. ეულაკი გიამ გაქცევა დააპირა და გადახლა მშველივით უკან.

— ვის მამულზედ დათარეშობ? სად წახვალ! შესჰყვირა სოსიკამ და დაედევნა უკან. გია ბაკის წნულზედ უნდა გადამხტარიყო, რომ სოსიკა წამოეწია და ისეთის სიმძლავრით დასთხლიშა თავში კომბალი საბრალოს, რომ თავ-გაჩეხილი გია უკანვე გადმოვარდა ღობიდგან და გულ შემზარავად შეჰყვირა.

— მიშველეთ, მომკლა!..

ამ ყვირილზე რამდენიმე მეზობელი გლეხი მოვარდა და ცოტა ხანს უკან შინიდგან გამონათებულ ჭრაქის შუქზედ ყველას თვალ-წინ წარმოუდგა მიწაზედ გველივით მფორთხავი თავ-გაჩეჩქვილი გია.

სოსიკას ელდა ეცა, თალიკომ ერთი საზარლად შეჰკივლა და გულ შემოყრილი მამას მიესვენა. ხალხი ვერ მიმხვდარიყო, რა ამბავიაო.

ჩოჩქოლის შემდეგ გამოირკვა, რომ გია სოსიკას ეზოში დაფათურებდა და რადგან სოსიკას ბნელაში ვერ გაერჩია მტერი იყო თუ მოყვარე, ქურდი ეგონა და ამიტომ კომბალი დაეთხლიშა თავში. ასეა თუ ისე, გიას პირში ენა აღარ ემორჩილებოდა.

ამ შემაძრწუნებელმა ამბავმა ნენემდისაც მიაღწია. საცოდავ ნენეს ესღა აკლდა, რომ გული საგულედგან ამოვარდნოდა და ავად-მყოფი ძალზედ შეშფოთდა და მუქა-მუქა სისხლი ამოსქდა გულიდგან.

გათენდა დილა და ქვეყნის მნათობმა საამურად გააწითლა აღმოსავლეთი. პირველი მზის სხივები ვეებერთელა კაკლისა და ჭანდრების ტოტებში შეიჭრა და გამოაღვიძა ფრინველნი, რომელთაც საამურად მორთეს ჭიკჭიკი. ყველა ჰხარობდა და ბედნიერობდა ტურფა გაზაფხულით, გია კი მოსწყდა უდროოდ ამ საერთო ბუნების სიმშვენიერეს და ამ საერთო ლხინში წვალებით დალია სული.

სოფელი №-რი ძალიან შესწუხდა ამ საზარელის ამბით, რადგან ყველამ იცოდა, გია ავაზაკი არ იყო და იმ დროს სოსიკას ეზოში ყოფნის მიზეზი-კი ვერავის გამოერკვია.

იმავე საღამოს მიხრწნილ-მილეულმა ნენემ დაიკრიბა ყვითელ სანთელივით დამჭკნარი, გაძვალ-ტყავებული ხელები გულზედ და განუტევა სული.

თუ სოსიკას ამბავს ვიკითხავთ, იგი პირველ ხანში დაატუსაღეს, მაგრამ მალე განათავისუფლეს და ამის შემდეგ შინიდგან კარში იშვიათად გამოდიოდა, ოხვრა-ვაებით ატარებდა დღეებს. ყველაფერზედ გული აიყარა. იშვიათად მოხდებოდა, რომ საქმისთვის ხელი მოეკიდა და ერთთავად ან იწვა და ან ეძინა, ან ოთახიდგან ოთახში დაფათურებდა სახე-დაღრეჯილი.

დარჩა სახლი თალიკოს საზრუნავი, მაგრამ ისიც ისე გულ გრილად ეკიდებოდა საქმეს, რომ, ასე გასინჯეთ, თაროში ბევრჯელ თითო კვირას დაურეცხავი ჭურჭელი ელაგა. ოჯახისათვის არ ეცალა, ბევრი რამ ჰქონდა საფიქრებელი. ის — ღამე ძილ-გამფრთხალი წამოჯდებოდა ხოლმე ლოგინში და გამუდმებით რაღასაც ტუტუნებდა. ხან გაიცინებდა, ხან მდუღარე ცრემლებს გადმოაფრქვევდა, ვიდრე ლამენატეხს, დასუსტებულს მამლის ყივილისას არ მიეძინებოდა.

მაისის მიწურული იყო. სოფ. №-ის ეკკლესია შემკული იყო სხვა და სხვა ყვავილებით და ქორფა მწვანე ბალახით, მოძღვარი ჩვეულებრივ წესს ასრულებდა და ხალხი გულ მხურვალედ ევედრებოდა ცხოვრების შემნიჭებელს მეთილ დღეობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს. სოფლის განაპირ პატარა გორაკზედ გაშენებულ სასაფლაოზედაც რამდენიმე მანდილოსანი გასულიყო და ზიზილებით ამკობდნენ საფლავებს. ერთს ალაგას ადამიანის ყურადღებას იზიდავდა ახლად ამაღლებული მიწა, რომელიც ჯერ კიდევ რიგიანად ვერ დახეპილიყო და თავით ვეებერთელა წვეტიანი ქვა ედო. ამ საფლავს რამდენიმე ზიზილა ეყარა და გვერდით ქალის ქოლგა ეგდო.

იქვე, თხუთმეტის ნაბიჯის მოშორებით, სადად გათლილ საფლავის ქვას დაჰკონებოდა ერთი ახალგაზრდა ქალი და რაღასაც ჩაჰღუღოდა. კარგა ხანს იყო ამ მდგომარეობაში, გაშტერებული ჩაჰყურებდა საფლავის ქვას, რაღაცა უაზრო სიტყვებს ჩასტუტუნებდა და თვალზედ-კი ცრემლი არ მოსდიოდა.

უცბად საფლავზედ მგმინავ ყმაწვილ ქალს ორი მოხუცებული დედაკაცი წაადგა თავს. ამათ გაკვირვებით დაუწყეს ცქერა ახალგაზრდას. მაშინვე იცნეს „თალიკო“, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ სხვის საფლავთან რა ხელი ჰქონდა, აქ რა უნდოდა.

მოხუცებულებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს საფლავი გიას საფლავი იყო და ამისთვის ორივემ თითქმის ერთს დროს დაიძახეს.

— ქალო, რას ჰშვრებიო?!

თალიკომ თავი მაღლა აიღო და ერთი უცნაურად გადიხარხარა, ბოლოს უცებ ფეხზედ წამოიჭრა და ერთ მანდილოსანს მივარდა, დაუჭირა ორივე ხელები და ძალზე რხევა დაუწყო.

— ბებალე! არ იცი, არ იცი? მე მოვკალი გია, ნენეც მე მოვკალი. არა გჯერა? მე მოვკალი-მეთქი, გიაცა, დედაცა.... აბნევით ამბობდა თალიკო და თვალებში მისჩერებოდა მოხუცს.

— ქალო! რასა ჰროტავ, საიდგან შენ მოჰკალი, ის უბედური დედაშენი ჭლექით მოკვდა და გია ხომ მამაშენს შემოაკვდა, სთქვა მოხუცმა და გადაჰხედა მეორე დედაკაცს.

— რავუყოთ, რო ჭლექით მოკვდა. მიზეზი მე ვარ, მე... უი მეო! დაიწივლა ერთბაშად თალიკომ, მთლად რაღაცა შიშის ზარით აცახცახებული გულმკერდზედ გაეწუთხა მოხუც დედაკაცს და თან გაჰკიოდა: „მიშველეთ! მომდევენ, რას მერჩით?!“.

ამ კივილზედ რამდენიმე მანდილოსანი მოვარდა, რომელთაც შეიტყვეს თალიკოს ჭკუაზედ შეშლა, რის ვაივაგლახით ჩაიყვანეს იგი სასაფლაოდგან და გადასცეს ისეც დაძმარებულსა და დარდისგან ჩამოჩხმარს სოსიკას. — ეს დღეც მეწერა!? წარმოსთქვა ოწუხარებით სოსიკამ და თვალთაგან ცრემლი ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა.

ი. იალგუზიძე

მეორე საშუალებად მევენახობის და მეღვინეობის წარმატებისათვის ავტორი სთვლის ვენახების წამლობის საქმის მოწყობას. ხალხს ვენახის წამლობა უჭირს, როგორც ამ საქმის უცოდინარობის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ შეძლება არა აქვს წამლები და მანქანები შეიძინოს. ამისთვის საჭიროა დაარსდეს კახეთში საწყობები, საიდგანაც ხალხს შეღავათით უნდა მიეცეს წამლები და იარაღიო.

დასასრულ გაზეთი დაუყოვნებელ საჭიროებადა სთვლის ხალხში სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას.

„ამ მხრივ, პირველ ხანს მაინც, დიდი სიკეთე შეუძლიან გაუწიოს ხალხს სასოფლოსწვლო უწყებამ, რომელმაც მილიონები დახარჯა რაციონალურ მეურნეობის მოსაწყობად. ჩვენის აზრით, ისეთ დაწესებულებისათვის, როგორიც არის სასოფლოსწვლო უწყება, ძნელი არ არის პრაქტიკული კურსების გამართვა. კურსებზედ უნდა მიიღონ გლეხის შვილები, 16—17 წლისანი, სამის წლის ვადით. ისინი ვალდებული იქმნებიან შეასრულონ სხვა მუშებთან ერთად ყველა ის სამუშაო, რაც მევენახობას შეეხება. ამ კურსების წყალობით ხალხში, ეჭვი არ არის, მალე გავრცელდება სამეურნეო სწავლა-ცოდნა და უმთავრესადკი ის, თუ როგორ უნდა რაციონალურად კაზს მოვლა და ღვინოს დაყენება. სამეურნეო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად ხალხში კარგი იქმნება აგრეთვე დაარსებულ იქმნას გამოსაცდელი მინდვრები. მეტი არ იქმნება დრო-გამოშვებით წაკითხულ იქმნას ხოლმე აგრეთვე ყველასათვის გასაგები ლექციები რუსულსა და ქართულს ენაზედ. აი ასეთისა და სხვა ამ გვარის ზომების მიღებით შეიძლება კახეთის მევენახეობა ფეხზედ წამოყენებულ და წარმატების გზაზედ დაყენებულ იქმნას“.

# რუსეთი

—

სასულიერო უწყებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ყველა სასულიერო სემინარიასთან დაარსებულ იქმნას საისტორიო-სასტატისტიკო კომიტეტი.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვს ლაპარაკი აღძრას იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული გარდასახადი იქმნას დაწესებული. ეს გარდასახადი უნდა მოჰხმარდეს მდინარეების ნაპირების გამაგრებას.

„Сынъ От.“-ს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ სხვა და სხვა სასწავლებლებში ყოველ წლიწადს რა ჯდება თითო კაცის სწავლება. როგორც ამ ცნობებიდგან სჩანს, სამოსწავლო ინსტიტუტში ერთის კაცის სწავლა წელიწადში ჯდება 700 მანეთი, ვაჟთა პროგიმნაზიაში 400 მან., სამოსწავლო სემინარიაში—300 მანეთი, რეალურ სასწავლებელში—160 მან., ვაჟთა გიმნაზიაში—130 მანეთ, ქალთა გიმნაზიაში—80 მან., სამაზრო სასწავლებელში—50 მანეთი, სამოქალაქო სასწავლებელში—30 მან. და პირველ დაწყებით სასწავლებელში—10 მანეთი.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს უკვე მოაწყოს სასოფლო სამეურნეო გამოფენების გამართვის საქმე. ამ საგნის განხილვას სამინისტრო უკვე შესდგომია.

— სექტემბრის პირველ რიცხვებში შეუდგება მუშაობას ის კომისია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნა შემდგარი და რომელსაც მინდობილი აქვს იმის შესახებ მოლაპარაკება, დაწესდეს თუ არა სადგომის გარდასახადი და სადგომის პატრონთ ქალაქის საქმეებში მონაწილეობის ნება მიეცეთ თუ არაო.

— 1900 წლის პირველ იანვრიდგან შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგება კრებულის ბეჭდვას. ამ კრებულში მოთავსებული იქმნება წერილები საერობო და საქალაქო საქმეების შესახებ.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** მას შემდეგ, რაც საგანგებოდ გაგზავნილმა სამხედრო ექიმმა სთქვა, რომ შეიძლება პატი-დეკლამს ჩვენება ჩამოართვათო, კაპიტანს ტავერნიეს ორჯელ ჩამოურთმევია ჩვენება. გაზეთების სიტყვით, დიუ პატის რამდენიმე საოცარი ამბავი გამოუმჟღავნებია გამომძიებლის წინაშე. ერთი ამბავი მაინც ისეთი საგულისხმიერო ყოფილა, რომ გაზეთები იმის გამოქვეყნებას თხოულობენ.

— ბელგიის ჟურნალ-გაზეთების ასოციაციას გარდაუწყვეტია მოსთხოვოს თვრეისინეს, რომ დაასახელოს ამ უკანასკნელმა იმ აგენტების ვინაობა, რომლებმაც აუწყეს მას, რომ ბელგიის ჟურნალ-გაზეთები დრეიფუსის მომხრეთა „სინდიკატისაგან“ მოსყიდულიაო, და აგრეთვე ის გაზეთებიც დაასახელოს, რომლებიც, მისის აზრით, მოსყიდულია.

—

**იტალია.** რომის პაპს—ლევ მეცამეტეს 16 აგვისტოს ხანგრძლივი საუბარი ჰქონია იეზუიტების ორდენის გენერალ მარტინთან დრეიფუსის საქმის შესახებ. მისი უწმინდესობა ძლიერ აუღელვებია დრეიფუსის საქმეს, რადგან ამ უკანასკნელმა სამიში მიმართულება მიიღო უკანასკნელ ჟამს. პაპს ეშინიან თურმე, რომ დრეიფუსი თუ ხელ-ახლა იქმნა გამტყუნებული, სასტიკად დაუწყებენ საფრანგეთში დევნას კათოლიკეთა ორდენებსო. ასეთ სამწუხარო მოვლენის ასაშორებლად, პაპს ურჩევია საფრანგეთის სამღვდელოებისათვის, განსაკუთრებით იეზუიტებისათვის, ზომიერად დაიჭირონ თავიანთი თავი და კრინტი არ დასძრან დრეიფუსისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. ანტისემიტების წინააღმდეგ პაპის ენციკლიკა უკვე მზად ყოფილა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, როდის გამოვა. ლევ მეცამეტე დიდის ინტერესით ადევნებს თურმე თვალ-ყურს რენის პროცესს და რენსა და ვატიკანს შორის საგანგებო დეპეშები მიდი-მოდის ამ საქმის შესახებ. რომის ყველა კათოლიკური გაზეთი ურჩევს საფრანგეთის მკვიდრთ გულდამშვიდებული იყვნენ და გულის თქმას ნუ აჰყვებიან. გარდა ამისა კარდინალ ლორენცელს დავალებული ჰქონია ჩააგონოს საფრანგეთის კათოლიკეთა გაზეთებს, გან ხეთქილება არ ჩამოაგდონ ხალხში.

—

**ვენგრია.** საიამ პარლამენტი იქმნება ბოდეს მოწვეული, მინისტრ-პრეზიდენტს კოლომან სელს აზრად ჰქონია მოელაპარაკოს ყველა დასის მოთავეთ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს პარლამენტმა. უპირველეს ყოვლისა პარლამენტმა, შეკრებისათანავე, დელეგაციების წევრები უნდა აირჩიოს. შემდეგ ამისა წლეულს განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქმნას 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გარდა ამისა პარლამენტმა უნდა გადასინჯოს სახელმწიფოს შინაგანი წეს-წყობილება, რომელიც სამოსამართლო კანონებს უნდა შეუთანხმოს. რაც შეეხება ადმინისტრაციაში ცვლილების შემოღებას, ამის შესახებ სელი ფიქრობს მომავალს ზამთარში მოიწვიოს ყველა კუთხის წარმომადგენლები და იმათთან შეთანხმებით შეიმუშავოს საჭირო ცვლილებათა პროექტი. უმთავრეს საგანს პარლამენტისას და მთავრობისას შეადგენს ავსტრიასთან შეთანხმება, მით უფრო, რომ, როგორც ხმა გავრცელდა, გრაფ ტუნის კაბინეტი ჩქარა დაეცემა.

—

**ბოლგარია.** გრეკოვისა და რადისლავოვის სამინისტროს დიდი ბრძოლა ჰქონია საცენტრალო პალატასთან. მთავრობას განსაკუთრებით ის არ მოსწონს თურმე, რომ ხსენებულს პალატას უფლება ჰქონია მთავრობის მიერ შედგენილი სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვა გადასინჯოს და ამ უფლებას მუდამ ხმარობს იგი. მინისტრ-პრეზიდენტის—გრეკოვის აზრით, ასეთი მოვლენა რიგიანად არ ჩაითვლება, რადგან იგივე პალატა შემდეგაც სინჯავს ხოლმე, თუ რამდენად კანონიერია და მართალი მთავრობის მიერ მოხდენილი ხარჯი, ე. ი. პალატა თავის თავსვე უმკრება კონტროლს. ამის გამო გრეკოვის გაზეთი „ნოვ ვეკი“ ამტკიცებს, რომ საჭიროა წინასწარ კონტროლის უფლება ჩამოერთვას პალატასო.

## სასამართლოს მატიანე

ცილის წამება დასტამბულის სიტყვით.

25 აგვისტოს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩა გაზ. „კავკასის“ დროებითის რედაქტორის იუსპენსკისა და იმავე გაზეთის თანამშრომლის ვ. გატცუკის საქმე, რომელთაც ინჟინერ-ტეხნოლოგი ბ-ნი კარაპეტოვი უჩიოდა, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამესო. საქმის გარემოება შემდეგია. 1898 წ. გაზ. „კავკ.“-ის მე-200 №-ში დაბეჭდილი იყო ფელეტონი, რომელშიაც ავტორი ე. გ. შეეხებოდა ტფილისყარსის რკინის გზის აშენებას და მუშათა უკმაყოფილებას მოიჯარადრეებზედ, რომელნიც თავის დროზედ არ აძლევდნენ მუშებს ფულს, და ამ უკმაყოფილებას იმ გარემოებას აბრალებდა, რომ მოიჯარადრეთა უმრავლესობას, განსაკუთრებით კი სომეხ მოიჯარადრეთ,—მცირე თანხის პატრონთ, აღლოთ დიდი სამუშაოები და ყოველ გვარის ხრიკებით სცდილობდნენ ამ სამუშაოთა შესრულებას; ხოლო როცა ამას ვერ ახერხებდნენ, მაშინ რკინის გზის სამართველოსაგან ფულს თხოულობდნენ წინ და წინ და თან ემუქრებოდნენ, თუ ფულს არ მოგვცემთ, არეულობას გამოვიწვევთ მუშათა შორისო. ფელეტონის ავტორს სხვა ასეთ მოიჯარადრეთა შორის მოხსენებული ჰყავდა ინჟ.-ტეხნოლ. კარაპეტოვი, რომელსაც იჯარით აეღო ხიდების ადგილას საჭირო რკინის მასალის მომზადება. სასამართლოში მოწვეულ მოწმეთაგან გამოცხადდა მხოლოდ ორი, ბ-ნნი ხუდადოვი და ნოვიკოვი—ყარსის რკინის გზის მოიჯარადრედ ნამყოფნი. ამ მოწმეთა ჩვენებით გამოირკვა, რომ რკინის გზის სამმართველო თავისს დროზედ არ აძლევდა ფულს მოიჯარადრეთ, რომელნიც ამის გამო ჯეროვანად ვერ უსწორებდნენ ანგარიშს მუშებს, რაც ამათ შორის უკმაყოფილებასა და არეულობას იწვევდა ხოლმე. სხვათა შორის, ერთმა მოწმემ, ხუდადოვმა სთქვა, გავიგე თუ არა, რომ ყარსის რკინის გზის უფროს ბ-ნს ვურცელთან ერთად გზას ათვალიერებდა „კავკასის“ თანამშრომელი გატცუკი, რომლისთვისაც ვურცელს ტყუილი ცნობები გარდაეცა მუშათა არეულობის შესახებ და ყველაფერი მოიჯარადრეთათვის დაებრალებინა, მივედი გატცუკთან ბინაზედ, განუმარტე საქმის გარემოება და დაუმტკიცე საბუთის ქაღალდებით, რომ გზის სამმართველო თავისს დროზედ არ უსწორდებოდა მოიჯარადრეთ და ამით მუშათა შორის არეულობას იწვევდაო. გარდა ამისა, სასამართლოში დამტკიცდა, რომ ის წერილი, რომლისთვისაც კარაპეტოვი გატცუკს უჩივოდა, შეემოწმებინა და დასაბეჭდად მოეწონებინა თვით ბ-ნს ვურცელს.

სასამართლომ ბრალდებულნი დანაშაულად არა სცნო და გაამართლა.

# დამკვირდი

ძლიერნი გვეკითხებიან მძლეველთ: „რითი მძლეველობთ მარადის?“ და ჩვენ ვუპასუხებთ: „სიყვარულითა, თავისუფლებითა, მეცნიერებითა და ზენა არობითა“.

ლასურიძე

* *

ნუ მიუპყრობ სასმენელთა შენთა ურგებთა სიტყვათა და ნუ შეაგინებ გონებასა შენსა და ნუ განსრწნიან გარე განვარდები კეთილისა გულსმოდგინებისაგან.

წმ. მურვანოზის ცხოვრება

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გუშინ მკითხველებს უამბეთ ქ-ნ ტიკეს თავ-გადასავალი. ამ გვარი ამბები იმდროს ძალიან ხშირი მოვლენა იყო. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ გარყვნილებამ და თავაღსნილობამ ვრცლად გაიდგა ფესვი მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 საუკუნის დასაწყისს. მოწამვლას ისე არასოდეს არა ჰქონია გასავალი, როგორც იმ დროს. მოწამვლისა ყველას ეშინოდა. იშვიათად შეჰხვდებოდით ახალგაზდა კაცს ან ქალს, რომელსაც ჯიბეში საწამლავი არა ჰქონოდა დამალული. ამას გარდა პარიჟი სავსე იყო მაშინ სხვა და სხვა მკითხავებით, ალქიმიკებით, თვალთ-მაქცებით, რომელთა წყალობითაც ათასგვარი სისაძაგლე და გარყვნილება ხდებოდა. ამ გვარს „ხელობებში“ განსაკუთრებით ქალებმა იჩინეს თავი. მათ შორის კი ყველაზედ მეტად შესანიშნავი და გამოჩენილი იყო ქ-ნი ვოაზენი. აი თვით ვოაზენი, სხვათა შორის, რას ამბობს: „როდესაც ჩემი ქმარი გაკოტრდა,—იგი ოქრო-მჭედელი იყო,—გულ-მოდგინედ შევუდექი ხირომანტიის და ფიზიოგნომიკის შესწავლას. ეს საგნები პატარაობითვე მიყვარდა. თოთხმეტის წლისა ვიყავი, როდესაც ბერებმა დევნა დამიწყეს ამის გამო“.

ვოაზენმა მკითხაობით და ჯადოქრობით მალე გაითქვა სახელი. მთელი პარიჟი იმასთან დადიოდა. დილით ადრე, როდესაც ვოაზენი ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, იმისი სასტუმრო ოთახი ხალხით იყო ხოლმე სავსე. ყველა ამ ქალისაკენ ეშურებოდა თავისის ბედის შესატყობად: მდიდარი და ღარიბი, არისტოკრატი და უბრალო მუშა. საღამოთი ეს მკითხავი ქალი ქეიფს ეძლეოდა ხოლმე. ქეიფობდა მუსიკით ყმაწვილ კაცებთან და ქალებთან. შემოსავალი წელიწადში 100 ათასს ფრანკზედ მეტი ჰქონდა და მხიარული ქეიფი ყოველთვის შეეძლო. საყვარლები ქალს ძალიან ბევრი ჰყავნდა. მათ შორის იყო შესანიშნავი ჯალათი ანდრეგილიომი, რომელმაც შემდეგ კინაღამ ვოაზენსაც მოსჭრა თავი, მარკიზი ლესაჟი; იყვნენ გრაფები და ვაჭრებიც.

სახლი, სადაც ვოაზენი მკითხაობდა, სამაგალითოდ იყო მოწყობილი. მკითხაობის დროს, ფარჩისაგან შეკერილ მანტიას იცვამდა. ისე მდიდრულად, როგორც ვოაზენი, საფრანგეთის დედოფალიც არ იცვამდა. მიუხედავად სიმდიდრისა ვოაზენი ბინძურ და გარყვნილ ცხოვრებას ატარებდა. ხანდისხან მთვრალი ქუჩა-ქუჩა დაეთრეოდა ხოლმე. კაცს შესზარავს და შეაძრწუნებს, ყველა ის რომ გაიგოს, რაც ამ გარყვნილის მკითხავის სახლში ჰხდებოდა. ყველა ამ საზიზღრობაში თანაშემწედ ვოაზენს ჰყავნდა ერთი აბბატი (მღვდელი), ვინმე გიბური. მკითხაობისათვის ვოაზენი ბავშვების სისხლსაც ხმარობდა. ბავშვებს ვოაზენი ძალიან ბევრსა შოულობდა, რადგანაც მრავალი ფეხ-მძიმე ქალი მიდიოდა იქ და თავის ახალ დაბადებულ ბავშვს ვოაზენს უტოვებდა. ვოაზენი შიმშილით ხოცავდა ბავშვებს, უმეტეს ნაწილად კი აბბატი გიბური უსპობდა ხოლმე სიცოცხლეს გძელის სადგისით. მკითხავი თავისებსაც არა ზოგავდა. როდესაც ეს ქალბატონი შეიპყრეს, იმისმა ქალმა განაცხადა, რომ ფეხ-მძიმობის დროს დედის სახლიდგან გავიქეცი, რადგანაც მეშინოდა ჩემი ბავშვი არ მოეკლაო. როდესაც სახლი გაუჩხრიკეს, ღუმელში მრავალი ბავშვის ძვალი ჰნახეს. თვით ვოაზენმა განაცხადა სასამართლოში, რომ 2,500-ზედ მეტ ბავშვს მოუღე ბოლო ჩემ მკითხაობის დროსაო.

სასამართლომ ვოაზენს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მოსამართლენი დიდ გამოკითხვასა და გამოძიებას არ შეუდგნენ, რადგანაც ეშინოდათ, მკითხავმა წარჩინებულ კაცებსა და იმათ ცოლების შესახებ არაფერი წამოროშოსო: ყველა წრის კაცსა და ქალს ჰქონდა დამოკიდებულება ამ შესანიშნავ მკითხავთან. ვოაზენი 1680 წელს, 20 თებერვალს ჩამოაღრჩეს. ვოაზენთან ერთად პოლიციამ მრავალი სხვა ამ გვარი მკითხავი და მომწამვლელი აღმოაჩინა. ყველა ესენი ათასს სიზიზღარ საქმეს და მკვლელობას სჩადიოდნენ. მთავრობამ რომ ეს ამბავი შეიტყო, საშინლად შეშფოთდა, შეფიქრიანდა და მოიწადინა ამ მავნე სენის აღმოფხვრა. ამ აზრით დანიშნა ესრედ წოდებული „ხისხლის პალატა“, რომელსაც მიანდო ყველა მკითხავების შეპყრობა, მათის საქმის განხილვა და დამნაშავეთა დასჯა. პალატის პირველი კრება მოხდა 1679 წელს 10 აპრილს, ხოლო უკანასკნელი 1682 წელს, 21 ივლისს. ამ ხნის განმავლობაში პალატამ 442 ქალისა და კაცის საქმე განიხილა, ამათგან 36 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ამ პალატის კრების ოქმები დღემდის შენახულია. მრავალი საქმე, პალატის მიერ განხილული, საუკეთესოდ ახასიათებს იმ დროინდელ პარიჟის საზოგადოებას. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა საქმეები დრესი, ლეფუონისა, პულიალონისა და ბრიუნოსი. ამათ ამბავს შემდეგ მოუთხრობთ მკითხველებს.

## გამოსადეგი ცნობა

ვისაც ხავერდიდგან ქონის ლაქების გამოყვანა უნდა, წმინდა აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილს პარკში ცხელი წვრილი ქვიშა უნდა ჩაჰყაროს და ამ პარკით გადასწმინდოს დაქონილი ადგილი, ჰხეხოს იმდრომდე, ვიდრე ლაქა გარდაკეცდება; ხაოს გასწორება შემდეგ სუფთა შხოთქით შეიძლება.

## ახალი წიგნები

—

ჩვენ მოგვივიდა ორი ახალი გამოცემა „ვეფხის-ტყაოსნისა“. ერთი გამოცემულია ბ-ნ ვლადიმერ სიმონის ძის ყიფიანის მიერ ქ. ტფილისში, ხოლო მეორე—ძმ. თავართქილაძეების მიერ ქ. ბათუმში. ორივე წიგნი ერთის ზომისაა გარეგნობით, ბ-ნ ყიფიანის გამოცემა შეიცავს 256 გვერდს, ძმა თავართქილაძეებისა—288. ძმათა თავართქილაძეების გამოცემას წინ უძღვის ვიღასიც „წინასიტყვაობისებური“, რომელშიაც უცნობი ავტორი რუსთაველს ნიჭს უქებს (?), ხოლო ბოლოში დართული აქვს სიტყვების განმარტება; ბ-ნ ყიფიანის გამოცემას წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა ბ-ნ ვ. ყიფიანისა, რომელშიაც განმარტებულია, რომელი გამოცემა „ვეფხის ტყაოსნისა“ რომელს წელიწადს დაბეჭდილა და აგრეთვე მისივე „შოთა რუსთაველის“ მოკლე შეხამებული ბიბლიოგრაფია, ბოლოში დართული აქვს რუსთაველისავე ორი იამბიკო, მისი ოთხტაეპოვანი ლექსი, „ფილოსოფოსნი შემოკრბენ, „ძველის სიტყვების ახსნა და ზანდუკი „ვეფხის ტყაოსნისა“. სურათები ორივე გამოცემაში ერთ ნაირია, ხოლო ბ-ნ ყიფიანის მიერ გამოცემულს წიგნში უფრო სუფთად და გარკვევით, უფრო სქელს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი. საზოგადოდ ბ-ნის ყიფიანის გამოცემა უფრო ძვირფასია ქაღალდის მხრივ და უფრო სუფთად დასტამბულია. ორივე გამოცემა ექვს ექვსი შაური ჰღირს, რაც ძვირი არ არის, მეტადრე ბ-ნი ვ. ს. ყიფიანის გამოცემა, რომელიც, ვგონებთ, თვით გამომცემელს ექვს შაურზედ ნაკლე ბი არ უნდა დასჯდომოდეს თითოეული წიგნი.

სიამოვნებით აღვნიშნავთ „ვეფხის ტყაოსნის“ იაფის გამოცემის დაბეჭდვას, რადგან კარგის ნაწარმოების გავრცელების პირველი საშუალება მისი სიიაფეა; რაც უფრო იაფია წიგნი, რაღა თქმა უნდა, მით უფრო ბევრს შეეძლება მისი მოპოვება და წაკითხვა.

—

Иллюстрированный спутникъ по Тифлису и его окрестностямъ. Составилъ В. А. Герценштеинъ ц. экв. 40 коп.

გერცენშტეინის მიერ ახლად დაბეჭდილი წიგნი (218 გვ.)—„ნახატებიანი თანამგზავრი ტფილისსა და მის გარეშემო“ შეიცავს საკმაო მასალას ტფილისის ისტორიისა, მის ნაშთებისა და გონებათ საუნჯის გასაცნობად. საქართველო მეტად მდიდარია თავისს წარსულის სამწერლო ნაშთებითა და ისტორიულის სურათებით. შემდეგში, სასურველია, ამ მხარეს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდეს ბ-ნი გერცენშტეინი. მისი აწინდელი გამოცემაც ღირს იმად, რომ გავრცელდეს. წიგნში, სხვათა შორის, არის სურათები ილია ჭავჭავაძისა, აკაკისა და ყაზბეგისა.

—✦✦—

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აგვისტო

**ბერლინი.** ყველანი იმ აზრის არიან, რომ იმპერატორი არ შეიწყნარებს ლაბორის თხოვნას იმის შესახებ, რომ შვარცკოპენი გაგზავნილი იქმნას რენში მოწმედო.

**ლონდონი.** ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკაში იარაღი იქმნა დარიგებული.

მორლემ განაცხადა კრებაზე, რომ ტრანსვაალთან ბრძოლა დიდი სირცხვილი იქნება ინგლისისათვისო.

პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ ფოლკსრაადში შეეკითხნენ მთავრობას ინგლისის ჯარების დაბანაკების შესახებ საზღვრებზედაო.

**პარიჟი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ლაბორიმ დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა იმპერატორს ვილჰელმს და მეფე ჰუმბერტოს, რომ კაცთმოყვარეობისათვის ნება დართევით, შვარცკოპენმა და პანიცარდმა ჩვენება მისცენ საგამომძიებლო კომისიას და წარმოადგინონ საბუთის ქაღალდები, რომელნიც მოხსენებულია ბორდეროშიო.

**რენნი.** ჩერნუსკის ჩვენების ჩამორთმევაც დაიწყეს გარეშე ხალხის დაუსწრებლად 6 საათ. 30 წუთ. ტრარიემ კრიტიკულად გამოარკვია, თუ რა როლს ასრულებდა ლოტი ბ პიკარს ამართლებდა „petit bleu“-ს შესახებ საქმეში. ლაბორიმ ითხოვა, რომ წაეკითხათ დიპლომატიური საბუთის ქაღალდი, რომელშიაც ნაამბობია დელკასეს საუბარი გრაფ მიუნსტერთან, როცა უკანასკნელმა განაცხადა, რომ შვარცკოპენი გამოტყდაო, რომ ესტერგაზის რამდენიმე „petit bleu“ გავუგზავნეო. ტრარიემ უარ ჰყო პიკარის შესახებ გავრცელებული ცილისწამება, რომ ის დრეიფუსის სახლობის აგენტი იყოვო და მინდობილი ჰქონდა დრეიფუსის ადგილას ესტერგაზი დაეყენებინავო. შემდეგ ტრარიემ სასტიკად გაჰკიცხა სასამართლოს განჩინება ესტერგაზის სასარგებლოთ. თავმჯდომარემ წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა, რომ ეს მოწმის ჩვენება კი არ არის, არამედ გასამართლებელი სიტყვაა დამცველისაო.

შემდეგ საქმის მწარმოებელმა წაიკითხა დიუ-პატი-დე-კლამის ჩვენება. უკანასკნელი წინააღმდეგობას აცხადებს იმ ცილის წამების გამო, რომლის მსხვერპლი ის გახდა და რომლითაც სურდათ სახელი გაეტეხათ სამოსამართლო პოლიციის აფიცრისათვის 1894 წელში. დიუ პატის სიტყვით, ბორდერო დაიწერა 1894 წლის 15 და 30 აგვისტოს შუა. დიუ-პატიმ განაცხადა, რომ დრეიფუსს არაოდეს არ უთქვამს ჩემთვის: „მინისტრმა იცის, რომ მე დამნაშავე არა ვარო“.

26 აგვისტო

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ტიხომიროვი ამავე უნივერსიტეტის რექტორად; პროფესორი ვარშავის უნივერსიტეტისა ულიანოვი—ამავე უნივერსიტეტის რექტორად.

**ბელგრადი.** დღეს დაასაფლავეს რისტიჩის გვამი. სიტყვები წარმოსთქვეს გეორგიევიჩმა, მეფემ და მილანმა.

**პარიჟი.** ჟოსსემ დღეს ჩვენება ჩამოართვა ლისაჟუს, საბატიეს, და მონტორგეილსა.

ჟუმაღლესი სასამართლო, როგორც ისმის, ვერსალში შეიკრიბება; იქ უფრო მოსახერხებელიაო.

—✦—

### წერილი რედაქციის მიმართ

—

უხულითადესს მადლობას ვუცხადებ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს: დ. კალანდარიშვილმა 15 მანეთის წიგნები, კირილე წილოსანმა 22 მ., ზ. ჭიჭინაძემ 19 მ. 85 კ., ნიკოლოზ ჟორდანიამ 6 მ., ოლღა ბაზიაროვმა 5 მ., ეკატერინე ქიქოძისამ 3 მ. 65 კ., ს. იმნაიშვილმა 1 მ. 20 კ., წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 9 მ. 60 კ., ლ. მამალაძემ 1 მ. 90 კ., ყ. კვასხვაძემ 1 მ. 65 კ., ვ. მენაღარიშვილმა 1 მ. 65 კ., გ. წილოსანმა 45 კ., მ. ხოფერიამ 38 კ., გ. ცინცაძემ 25 კ., ნ. იმნაიშვილმა 25 კ., აკ. ხელაძემ 20 კ., ნ. ჩხაიძემ 30 კ., გ. ქურთუბაძემ 40 კ., ის. იმნაიშვილმა 65 კ., გ. მენაღარიშვილმა 20 კ., ნ. კუკულაძემ 10 კ., მ. კანდელაკმა 5 კ., ლ. ბარამიძემ 15 კ., ვ. ცინცაძემ 5 კ., პ. იმნაძემ 20 კ., ე. ჯორბენაძემ 5 კ.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს მმართველი ნესტორ მხეიძე

—✦✦—

## განცხადებანი

### იძლევა

ქირით კუთხის სადგომი **სავაჭრო დუქნის გასამართავად.** სადგომს აქვს ქვითკირის სარდაფი წყლით. ალექსანდრესა და ახალ-კათოლიკეთა ქუჩების კუთხეში, № 16/18. იკითხეთ ეზოში. (2—133—2)

---

**ქალაქ ტფილისის გამგეობა აცხადებს,** რომ, მისის თანადასწრებით, 10 სექტემბერს, შუადღის 1-ლ საათზე, ხელ-მეორე საჯარო ვაჭრობა იქმნება იმ იჯარის გასაცემად, რომლითაც მოიჯარადრემ 12000 ფუთი ნავთი უნდა წარადგინოს ქალაქის ქუჩების გასანათებლად.

იჯარის პირობები მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1-ლ საათამდე, კვირა-უქმეს გარდა. (3—6.—1)

---

**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან**

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრით თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლიგამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახ ლ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის, შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვი, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში,

9) თხოვნების შემოტან შეიძლება აგვისტოს 25-მდის ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской щколой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოც და ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1899/900 სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავ[...] ტფილისში მცხოვრებთაგან, რომ[...] თაც შეეძლოს სკოლის გამგე[...] მიმართოს, როგორც ფულის თა[...] დროზე შემოტანისა, აგრეთვე [...] შემთხვევებშიაც.

---

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმ[...] პირველ ამხანაგობისა ისყიდება [...] **თაისში**—წერეთლის წიგნის [...] ღაზიაში; **ყვირილა**[...]**ში**—[...] მალაკელიძის მაღაზიაში; [...] **თუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღა[...] აში (სასტუმრო „საფრანგეთის“ [...] დაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა [...] ნელიების სამკერვალოში და [...] **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსო[...] ლების სახელოსნოში.

(50—6.—22) ნ. წერეთელი

---

**პეტერბურგის სამკურნალო გა[...] გეობის** ნება-დართვით ისყიდ[...] პროვიზორის შიხინოვისაგან გა[...] გონილი

ახალი მარგებელი სასმელი [...]

ტფილისსა, გორსა, განჯასა, [...] გრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა [...] სხვა ქალაქების ყველა საუკეთ[...] მაღაზიებში. (10—6.—1[...])

---



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გ[...] ტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

—

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა**

**музыкальное депо М. МИРИМАНЯНА.**

Тифлисъ. Дворцовая ул. (24—6.—17)